

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2018 წლის 1 მაისის №99/01-01 ბრძანების საფუძველზე კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის №142/2018 დადგენილების მე-2 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი № 3

ქ. თბილისი

28 ივნისი, 2018 წელი

10: 00 სთ.

კომისიის ხუთი წევრიდან სხდომას ესწრებოდა ხუთივე წევრი: 1. თსუ-ს პროფესორი ალექსანდრე გამყრელიძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი სერგო ცირამუა (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი (კომისიის მდივანი); 4. საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან კუთხაშვილი; 5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მიხეილ თუთხერიძე.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
 2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.
1. მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის პროფესორ ალექსანდრე გამყრელიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.
- შეფასების პირველ ეტაპთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტის, გია სირბილაძის მიერ წარმოდგენილი კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი N4). შეფასების I კატეგორიაში („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.
- II კატეგორიაში („კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“): წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს, კონკურსანტის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო კურსებს წარმოადგენს, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა ვაკანსიის შესაბამისია. ამდენად, მის მიერ II კატეგორიაში მიღებულია უმაღლესი შეფასება. III კატეგორიაში („სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა“): კონკურსანტის მიერ წარმოდგენილია შესრულებული იმპაქტ-

ფატორის მქონე 21 და 25 სხვა სტატია გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. ბოლო 6 წლის მანძილზე მან მონაწილეობა მიიღო 10 საერთაშორისო კონფერენციაში, იგი მონაწილეობს საგრანტო პროექტებში, თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი მონოგრაფია კომისიის მიერ შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო შრომა. წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ფართოდ არის მიმოხილული კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებები, რაც არსებითად მოიცავს მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან თანამშრომლობას. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და გათვლილია მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდაზე. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის მაღალი. IV კატეგორიაში კომისიის მიერ შეფასდა ბოლო 6 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები - საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელობა, სტუდენტთა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა. კონკურსანტი არის თსუ-ს სადისერტაციო საბჭოს კომპიუტერული მეცნიერებების დარგობრივი სადისერტაციო კომისიის ხელმძღვანელი, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „თსუ მეცნიერება“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. ფლობს უცხო ენებს: ინგლისურს და რუსულს კარგად. საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის მაღალი.

გარდა ამისა, გასაუბრების შედეგების მიხედვით დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ პროფესორის ვაკანსიასთან. გამოცხადებულ ვაკანსიაზე, ჩატარებული ფარული კენჭისყრით საკონკურსო კომისიამ ერთხმად (ხუთი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი გია სირბილამის კანდიდატურას.

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში, შეფასების პირველი და მეორე ეტაპის შეჯამებით და ფარული კენჭისყრის შედეგის მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კათედრა – გამოყენებითი ინფორმატიკა


გია გურამის ძე სირბილამე – პროფესორი.

2. საკონკურსო კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად ერთხმად


დაადგინა:

შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.


კომისიის თავმჯდომარე:
პროფ. ალ. გამყრელიძე



კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
პროფ. ს. ცირამუა



კომისიის მდივანი:
ასოც. პროფ. ი. ხუციშვილი



კომისიის წევრები:

ასოც. პროფ. ქ. კუთხაშვილი



ასოც. პროფ. მ. თუთბერიძე

